ნინო გვარამაძე
სამოქალაქო განათლების კონსულტანტი
სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

მასტერ-კლასი სამოქალაქო განათლებაში:

„პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება“

21-ე საუკუნის უნარები მოითხოვს ისეთი სწავლების დანერგვას, რომელიც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს გამოიყენონ კურსების შინაარსი, თავის თავზე აიღონ პასუხისმგებლობა მათი სწავლისთვის, გონივრულად გამოიყენონ ტექნოლოგიები და ითანამშრომლონ. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება არის ერთ-ერთი პედაგოგიური მიდგომა, რომელიც დღვანდელი მასწავლებლის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს უნდა წარმოადგენდეს.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება არის მოთხოვნაზე დაფუძნებული სწავლის მოდელი, სადაც მოსწავლეები შეხვდებიან ჭეშმარიტ პრობლემას, რომელიც მოითხოვს დამატებით კვლევას.

მასტერკლასის მიზანია: გააცნოს მასწავლებლებს პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ძირითადი პრინციპები, მისცეს მასწავლებლებს საშუალება მზა მაგალითების განხილვის შედეგად შეძლონ მათი ანალოგიური მაგალითების შექმნა და გაკვეთილზე გამოყენება.

მასტერკლასის ფორმატი ითვალისწინებს მონაწილეთა ჩართულობას მსვლელობაში მათ მიერ მასალის გასათავისებლად და პრაქტიკული ხასიათის სირთულეების დასაძლევად.

მასტერ-კლასის შედეგად:

- მონაწილეები გაეცნობიან პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების პრინციპებს;
- მონაწილეები გაიაზრებენ გაკვეთილებზე გამოყენების შესაძლებლობებს;
- მონაწილეები გაეცნობიან პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების შეფასების ხერხებს/მეთოდებს;
- შექმნიან სავარჯიშოებს აღნიშნული მიდგომის განსახორციელებლად.

მასტერ კლასის მიზნობრივი ჯგუფი: სამოქალაქო განათლების პრაქტიკოსი, უფროსი და წამყვანი მასწავლებლები.

მსმენელთა რაოდენობა: 20 მსმენელი

მასტერ კლასის ხანგრძლივობა: 4 საათი